KA030145259913819

№ 01-1067 **04 / თებერვალი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 11-14 თებერვალს საფრანგეთში ქ. პარიზში ევროპის საბჭოს ორგანიზებით, ნდობის აღდგენის პროექტის ფარგლებში, ტარდება შეხვედრა ქ.თბილისის, ქ. ბათუმის, ქ.სოხუმისა და ქ.გურჯაანის ექიმების მონაწილეობით, რომელიც მიეძღვნება ტუბერკულოზის მკურნალობის საკითხებს.

შეხვედრაში მონაწილეობის მიზნით მიწვეულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ხათუნა ჩაჩავა და ამავე დეპარტამენტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და პროგრამების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ია ყამარაული.

ვიზიტში მონაწილეობის ხარჯები (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური ნორმა) ანაზღაურდება ევროპის საბჭოს მიერ.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი ხათუნა ჩაჩავასთვის და ქალბატონი ია ყამარაულისათვის მიმდინარე წლის 10 თებერვლიდან 15 თებერვლის ჩათვლით.

პატივისცემით,

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სოფიკო ბელქანია